პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 45 (18587) ოთხშაბათი, 23 თებერვალი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ხუთწლედი: წელი მესამე

სუპერტრალერი „გაზალეთი“

ფოთი. (საკ. კორ. რ. რუსია). ამ დღეებში ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს კიდევ ერთი, უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი სუპერტრალერი „გაზალეთი“ (კაპიტან-დირექტორი ჯ. ჯოჯუა) შეუდგა რეწვას. ეს 101 მეტრიანი 5.300 ტონა წყალწყვის გიგანტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის შეკვეთით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აიგო და სამმართველოს ხომალდთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა, სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე თევზსარეწი გემისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას.

ახლახან გემი კალინინგრადიდან ატლანტიკის ოკეანესაკენ გაეშურა თევზის სარეწად (იგი დღეღამეში ათობით ტონა პროდუქციას აწარმოებს).

კოლეგებმა მშვიდობიანი ნაოსნობა და წარმატებული რეწვა უსურვეს მის ეკიპაჟს.

მომხმარებელს მოსწონს

ცხინვალი. (საკ. კორ. გ. თედეევი). გამართულად, რიტმულად მუშაობს ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი — ხ. გობოზოვი). უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აქ გეგმები გადაჭარბებით სრულდება. ათასკაციანი კოლექტივი ერთი მიზნით შრომობს — მომხმარებელს მიაწოდოს ლამაზად შეკერილი ტანსაცმელი. საწარმოს პროდუქციაზე — ქალის კაბებზე, ხალათებზე, ჩვილ ბავშვთა კომპლექტებზე დიდი მოთხოვნაა. საწარმოს ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ეს და შეიმუშავა რამდენიმე ახალი ნიმუში, რომელთა მიხედვითაც ფაბრიკაში ასორტიმენტის განახლება დაიწყო.

შარშან ცხინვალელმა მკერავებმა 15.800 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს მომხმარებელს, ხუთწლედის შუაგულ წელს განზრახული აქვთ 16.100 ათასი მანეთის ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. მიზნის მისაღწევად ენერგიულად შრომობენ მკერავები.

ამ დღეებში სამკერვალო ფაბრიკის მუშა, ჩამბახველი მასურათ ტიხოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს; ეს მკერავებს მათი შრომის დიდ დაფასებად მიაჩნიათ.

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

სოციალიზმისა და მშვიდობის მეკლავრი გუშაგი

საბჭოთა სახელმწიფოს მატიანეს წმიდათაწმიდად შემოუნახავს მოვლენები და თარიღები, რომლებთანაც დაკავშირებულია ჩვენი ხალხის საბრძოლო მამაცობა, დიდება და ძალიერება. ერთ-ერთი ასეთი ღირსშესანიშნავი თარიღია 23 თებერვალი — საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე.

65 წლის წინათ დაიწყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების გმირული ისტორია. დიდი ლენინის, ჩვენი კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილმა და გამოზრდილმა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ღირსეულად გამოატარეს თავიანთი საბრძოლო დროშები სასტიკი ბრძოლების ქარცეცხლში, ბევრ მკაცრ განსაცდელში. სოციალისტური სამშობლოს განვითარების ყველა ეტაპზე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ღირსეულად ასრულებდნენ და ასრულებენ პასუხსაგებ და ჰუმანურ ამოცანას — იყვნენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის დარაჯი, მშვიდობის ბურჯი.

არმიისა და ფლოტის წლევანდელი დღესასწაული აღინიშნება ვითარებაში, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსკოვის კონფერენციაზე საერთაშორისო ასპექტებით, ასევე ეროვნულ-გენმამთავისუფლებელი მოძრაობაზე. პრეზიდენტმა რეიგანმა „ჯვაროსნული ლაშქრობა“ გამოაცხადა სსრ კავშირისა და სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. უფრო მეტი გულახდილობით იმპერიალისტური რეაქციის ავბედითი ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური მიზნები გამოიხატა ვაშინგტონის მიერ 80-იანი წლებისათვის მიღებულ „პირდაპირი კონფრონტაციის“ სტრატეგიით. ამ აგრესიული სტრატეგიის უპირველესი მიზანია მოსპოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს, ნატოსა და გარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების შორის არსებული სამხედრო-სტრატეგიული ძალების დაახლოებითი თანასწორობა, მისწრაფება, გაუსწოროს საბჭოთა კავშირს სამხედრო თვალსაზრისით და უკარნახოს მას თავისი პირობები.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მსოფლიო ჰეგემონიის დაჩემება ეყრდნობა არნახულ გამალებულ შეიარაღებას, რომელიც გადადის თვისებრივად ახალ, გაცილებით უფრო საშიშ ფაზაში, და მოიცავს ყველა, ახალ სახეობათა შეიარაღებას, როგორც ბირთვულს, ისე ჩვეულებრივს, ყველა სახეობის სამხედრო საქმიანობას, პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა რაიონს. მარტო უახლოესი ხუთი წლის მანძილზე (1983-1987) პენტაგონის ხარჯები 1,6 მილიონ დოლარს აღემატება. ეს ექვსჯერ სჭარბობს მთელი მეორე მსოფლიო ომის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯებს.

ახალი სამხედრო პროგრამების წამოყენება განუხრელად უკავშირდება ისეთი სტრატეგიული კონცეფციებისა და დოქტრინების ესკალაციას, როგორიც არის „პირველი განმაიარაღებელი ბირთვული დარტყმა“, „შეზღუდული ბირთვული ომი“, „გაჭიანურებული ბირთვული კონფლიქტი“ და სხვ. ამასვე ემსახურება ნატოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც განალაგოს ევროპაში საშუალო სიშორის 600 ახალი ამერიკული რაკეტა.

კვლავ რთულდება ვითარება ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრებთან. ამერიკის იმპერიალიზმისა და ისრაელ აგრესორთა მიზეზით სულ უფრო მეტად მწვავდება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი.

საერთოდ, როგორც აღნიშნულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკურ დეკლარაციაში, ვითარება სულ უფრო მეტად რთულდება, იზრდება საერთაშორისო დაძაბულობა, ძლიერდება ომის, უწესრიგო ყოვლისა, ბირთვული ომის საფრთხე.

ამ პირობებში, ახორციელებს რა კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობას, ჩვენი პარტია ნიადაგ ზრუნავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის... „პოლიტბიუროს მიიჩნდა და მიიჩნია სავალდებულო საქმედ მისცეს ყოველივე აუცილებელი არმიასა და ფლოტს, მეტადრე ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში“, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა.

კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით ჩვენი არმია და ფლოტი აღჭურვილი არიან ყველაზე თანამედროვე, მათ შორის რაკეტულ-ბირთვული იარაღით, მძლავრი საბრძოლო ტექნიკით. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ორგანიზაციული სტრუქტურა, კადრების მომზადების სისტემა, ჯარების სწავლებისა და აღზრდის თეორია და პრაქტიკა, სამხედრო მეცნიერება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა.

ამერიკაკავკასიელი მეომრები საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ახალი წარმატებებით შეეგებნენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 65 წლისთავს. ჩვენს ჯარებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში, შემდგომი გაჭანება პოვა სოციალისტურმა შეჯიბრებამ დევიზით „ავამაღლოთ სიფხიზლე, საომედოდ უზრუნველყოთ სამშობლოს უშიშროება!“.

მეომრები მთელ ძალ-ღონეს ახმარენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, თავდაცვითს

სწავლაში, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული მოსკოვის რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის საერთო-საჯარისო უმაღლესი სამეთაურო სასწავლებლის კოლექტივს.

სურათზე: სასწავლებლის კურსანტები ტაქტიკურ მეცადინეობაზე.

3. ზავიალოვის ფოტო. (საკადესის ფოტოქრონიკა).

ენერალ-პოლკოვნიკი ო. თ. კულიშევი, ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი

ნტრრევოლუციური ძალები, ახალგაზრდა რესპუბლიკას დიდი საფრთხე შეექმნა. რევოლუციის მონაპოვრების დასაცავად პროლეტარიატს სჭირდებოდა რეგულარული არმია.

ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, კომუნისტური პარტიის ტიტანური საქმიანობით არნახულ მძიმე პირობებში შეიქმნა ახალი ტიპის სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც ძირეულად განსხვავდებოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა არმიებისაგან თავისი სოციალური ბუნებით, ისტორიული დანიშნულებით, შესასრულებელი ფუნქციებით, მშენებლობის ძირითადი პრინციპებით, სულიერი სახით. წოთელი არმია მსოფლიო ისტორიაში იყო პირველი ნამდვილი სახალხო არმია, რომელიც მუდამ მზად იყო დაეცვა სოციალიზმი, მოეხადა თავისი ინტერნაციონალური ვალი.

1918 წლის თებერვლის ისტორიულ დღეებში, მ. უ. ურგლებური წითელი არმიისა და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის შესახებ ლენინური დეკრეტების საფუძველზე, ჩამოყალიბდა პირველი რევოლუციური პოლკები. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის ცეცხლოვან წლებში კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით საბჭოთა რესპუბლიკები შეაკავშირა ერთიან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირად, შთაგაგონა მშრომელი ხალხი მტრის შესამუსრავად. თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში მხარდამხარ იბრძოდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის შვილები. მათი უსაზღვრო მამაცობის მეოხებით წოთელმა არმიამ დაიცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვრები.

სამოქალაქო ომის მატიანეში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა ჩვენი ოლქის მამამთავარმა — XI არმიამ, რომელიც ამიერკავკასიის აჯანყებული ხალხების ძახილზე მოვიდა თავისი ძმების — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელთა დასახმარებლად. სწორედ იმ წლებში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა რესპუბლიკების მშრომელთა და ოლქის ჯარების ძმურ მეგობრობას, რომლებმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა განვლეს.

ძლევამოსილად დაამთავრეს რა სამოქალაქო ომი და ხელი მოჰკიდეს მშვიდობიან მშენებლობას, კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ზუსტად ასრულებდნენ ვ. ი. ლენინის მითითებებს: ჩვენს ნაბიჯებს მშვიდობის გზაზე თან უნდა ახლდეს მთელი ჩვენი სამხედრო მზადყოფნის დაძაბვა, უნდა ვიყოთ ფხიზლად, თვალი-სჩინვით გავფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი წოთელი არმიის თავდაცვისუნარიანობაა.

სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებამ — სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის შეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის განხორციელებამ საბჭოთა კავშირი გადააქცია მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. პარტიამ განახორციელა შეიარაღებული ძალების განმტკიცების ღონისძიებათა სისტემა. ყოველივე ამან მრავალგზის გაადიდა სამშობლოს დაცვის შესაძლებლობანი, აამაღლა ჩვენი ქვეყნის უნარი ქედუხრელად მდგარიყო და გაემარჯვა ნებისმიერი იმპერიალისტური აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცის, მისი შეიარაღებული ძალების ძლიერების ყველაზე მკაცრი გამოცდა გახდა დიდი სამამულო ომი გერმანიის ფაშიზმის — მსოფლიო იმპერიალიზმისა და რეაქციის საზარელი ნაშიერის წინააღმდეგ. შექმნა რა მთავარი დარტყმების მიმართულებით ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი უპირატესობა, ფაშისტური არმია გააფთრებით მიიწევდა საბჭოთა კავშირის საარსებოდ მნიშვნელოვანი ცენტრებისაკენ, ცდილობდა „ელვისებური ომის“ გზით ექვსი-რვა კვირის განმავლობაში ბოლო მოეღო საბჭოთისათვის. მაგრამ მტერი მოტყუვდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყველა საბჭოთა ადამიანი აღდგა სამშობლოს დასაცავად, მთელი ქვეყანა გადაიქცა ერთიან სამხედრო ბანაკად.

გამარჯვება ადვილი არ იყო. ძნელი გზა განვლეს არმიამ და ხალხმა 1418 დღე-ღამის ომში. დღეს, როცა დიდი სამამულო ომის მატიანეს კითხულობენ, საბჭოთა ადამიანები ისევ და ისევ აღტაცებული არიან ბრესტის, ლენინგრადის, კიევის, ოდესის, სევასტოპოლის, ქერჩის, ნოვოროსიისკის, მინსკის დამცველთა, მოსკოვთან, სტალინგრადთან, კავკასიონის მისადგომებთან, კურსკის რკალზე 1944-1945 წლების საბრძოლო ოპერაციების მოხაზულეთა მამაცობით, სიმტკიცითა და გმირობით, ფრონტელებისა და ომით მომარი, ვინც გამარჯვების იარაღს ჭედდა. მადლიერებისა და ღრმა პატივისცემის ნიშნად საბჭოთა ადამიანებმა, სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს მოსკოვსა და ლენინგრადთან დიადი ბრძოლებისა და გამარჯვებების, ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის 40 წლისთავი. წელს ჩვენ ვემზადებით

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ახალი წარმატებებით ხვდებიან დღესასწაულს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები.

* * *

სურათზე: საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი სერჟანტი ნიკოლოზ არაპოვი.

ა. მაძაკარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აღმართა დამარცხებულ რაიხსტაგზე. ასრულებდნენ რა თავიანთ სამოკავშირეო ვალდებულებას, საბჭოთა კავშირმა და მისმა წოთელმა არმიამ გაანადგურეს მილიტარისტული იაპონიის ჯარები.

ომის დროს შემადგენლობით მრავალეროვანმა და თავისი არსით სოციალისტურმა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა შემუსრეს ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების ურდოები. საბჭოთა სამხედრო მეცნიერებამ დაადასტურა თავისი სრული უპირატესობა ბურჟუაზიულ სამხედრო თეორიასა და პრაქტიკასთან შედარებით. ჩვენი ძალების საბრძოლო მოქმედების მთავარი სახეობა იყო სტრატეგიული შეტევა. ომის დროს მთ მიერ განხორციელებული 51 სტრატეგიული ოპერაციიდან 35 შეტევითი იყო. ბევრი მთგანი სამართლიანად ითვლება სამხედრო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშად. დიდი სამამულო ომის საბრძოლო გამოცდილებას დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეომართა სწავლებისა და აღზრდისათვის, ჯარების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

მეოთხე ათწლეულია საბჭოთა ხალხი ცხოვრობს და შრომობს მშვიდობიანი ცის ქვეშ. დიდია ჩვენი წარმატებანი ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, გრანდიოზულია გეგმები და პერსპექტივები. მაგრამ მათი წარმატებით ხორცშესხმისათვის საჭიროა მშვიდობა. ჩვენი პარტიისა და ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი, დაუცხრომელი ბრძოლა მისი განმტკიცებისათვის ყოველთვის შერწყმულია საბჭოთა ადამიანების მაღალ პოლიტიკურ სიფხიზლესთან, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მათს მუდმივ ზრუნვასთან, ეს გამოწვეულია იმით, რომ ახლა იმპერიალიზმის პოლიტიკაში განსაკუთრებით შეუნიღბავად ვლინდება ავანტიურიზმი, მზადყოფნა — თავისი ვიწროანგარებიანი მიზნებისათვის გაეწიროს კაცობრიობის საარსებო ინტერესები.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა, რომლებიც აზვიადებენ მითს „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ შესახებ, გააძლიერეს პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური ზემოქმედება „სოციალიზმზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. პრეზიდენტმა რეიგანმა „ჯვაროსნული ლაშქრობა“ გამოაცხადა სსრ კავშირისა და სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. უფრო მეტი გულახდილობით იმპერიალისტური რეაქციის ავბედითი ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური მიზნები გამოიხატა ვაშინგტონის მიერ 80-იანი წლებისათვის მიღებულ „პირდაპირი კონფრონტაციის“ სტრატეგიით. ამ აგრესიული სტრატეგიის უპირველესი მიზანია მოსპოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს, ნატოსა და გარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების შორის არსებული სამხედრო-სტრატეგიული ძალების დაახლოებითი თანასწორობა, მისწრაფება, გაუსწოროს საბჭოთა კავშირს სამხედრო თვალსაზრისით და უკარნახოს მას თავისი პირობები.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მსოფლიო ჰეგემონიის დაჩემება ეყრდნობა არნახულ გამალებულ შეიარაღებას, რომელიც გადადის თვისებრივად ახალ, გაცილებით უფრო საშიშ ფაზაში, და მოიცავს ყველა, ახალ სახეობათა შეიარაღებას, როგორც ბირთვულს, ისე ჩვეულებრივს, ყველა სახეობის სამხედრო საქმიანობას, პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა რაიონს. მარტო უახლოესი ხუთი წლის მანძილზე (1983-1987) პენტაგონის ხარჯები 1,6 მილიონ დოლარს აღემატება. ეს ექვსჯერ სჭარბობს მთელი მეორე მსოფლიო ომის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯებს.

ახალი სამხედრო პროგრამების წამოყენება განუხრელად უკავშირდება ისეთი სტრატეგიული კონცეფციებისა და დოქტრინების ესკალაციას, როგორიც არის „პირველი განმაიარაღებელი ბირთვული დარტყმა“, „შეზღუდული ბირთვული ომი“, „გაჭიანურებული ბირთვული კონფლიქტი“ და სხვ. ამასვე ემსახურება ნატოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც განალაგოს ევროპაში საშუალო სიშორის 600 ახალი ამერიკული რაკეტა.

კვლავ რთულდება ვითარება ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრებთან. ამერიკის იმპერიალიზმისა და ისრაელ აგრესორთა მიზეზით სულ უფრო მეტად მწვავდება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი.

საერთოდ, როგორც აღნიშნულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკურ დეკლარაციაში, ვითარება სულ უფრო მეტად რთულდება, იზრდება საერთაშორისო დაძაბულობა, ძლიერდება ომის, უწესრიგო ყოვლისა, ბირთვული ომის საფრთხე.

ამ პირობებში, ახორციელებს რა კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობას, ჩვენი პარტია ნიადაგ ზრუნავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის... „პოლიტბიუროს მიიჩნდა და მიიჩნია სავალდებულო საქმედ მისცეს ყოველივე აუცილებელი არმიასა და ფლოტს, მეტადრე ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში“, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა.

კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით ჩვენი არმია და ფლოტი აღჭურვილი არიან ყველაზე თანამედროვე, მათ შორის რაკეტულ-ბირთვული იარაღით, მძლავრი საბრძოლო ტექნიკით. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ორგანიზაციული სტრუქტურა, კადრების მომზადების სისტემა, ჯარების სწავლებისა და აღზრდის თეორია და პრაქტიკა, სამხედრო მეცნიერება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა.

ამერიკაკავკასიელი მეომრები საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ახალი წარმატებებით შეეგებნენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 65 წლისთავს. ჩვენს ჯარებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში, შემდგომი გაჭანება პოვა სოციალისტურმა შეჯიბრებამ დევიზით „ავამაღლოთ სიფხიზლე, საომედოდ უზრუნველყოთ სამშობლოს უშიშროება!“.

მეომრები მთელ ძალ-ღონეს ახმარენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, თავდაცვითს საკითხებზე მისი დებულებების შემდგომ შესრულებას, კლასური კვალიფიკაციის ამაღლებას, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის ოსტატურ დაუფლებას, ყოველ საჯარისო კოლექტივში მტკიცე საწესდებო წესის, მხედრული დისციპლინისა და ორგანიზებულობის დაცვას. შეჯიბრებაში ჩაბმულთა შორის მოწინავენი არიან იმ ნაწილების მეომრები, სადაც მსახურობენ ოფიცრები ვ. კოკარევი და მ. ბუკანი, მ. პოპოვი და ა. ფედიაკინი, ჰ. შჩულიაკი და ფ. შახბაზოვი;

წლითიწლობით მტკიცდება ოლქის მეომართა მეგობრობა საქართველოს შრომთა კოლექტივებთან, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან. პიარადი შემადგენლობა ამაყობს კომენისტურ მშენებლობაში რესპუბლიკის წარმატებებით. ოლქის მეომრები საბჭოთა საქართველოს მშრომელებს უსურვებენ ახალ დიდ მიღწევებს.

65 წლის წინათ დიდი ლენინისა და კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები ყოველთვის ღირსეულად ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. საბჭოთა მეომრებს ღრმად აქვთ შეგნებული თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მთელი სირთულე. მათ კარგად იციან — მშვიდობას ვერ გამოსთხოვ იმპერიალისტებს, მას უნდა გაუფრთხილდნენ, დაიცვან, ამიტომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები უდიდეს სიფხიზლეს იჩენენ, მომზადებულ სიფხიზლეს ერთად საომედოდ უზრუნველყოფენ ჩვენი სამშობლოს, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უშიშროებას და ყოველთვის მზად არიან საკადრისი პასუხი გასცენ ყოველგვარ აგრესორს. (საქინფორმი).

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

№ 45

1983 წლის 23 თებერვალი

ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდებგებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო საბჭოთა შეიარაღებული ძალების ვეტერანებო!

დღეს საბჭოთა ხალხი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 65 წლისთავს.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს საბჭოთა ადამიანები ხვდებიან პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ახალი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის დღესასწაულით. ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მშრომელები თავიანთი თავდადებული შრომით წარმატებით ახორციელებენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს. საყოველთაო-სახალხო გაქანება შეიძინა მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად და თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა, ხალხთა დაშოუკიდებლობის უფლებებისა და სოციალური პროგრესის დაცვა. სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ახალი სამშვიდობო ინიციატივები მოიწონა და მზარი დაუჭირა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეებისა და მისი მოკავშირეების მიზეზით საერთაშორისო ვითარება სულ უფრო რთულდება, ძლიერდება ომის, უწესრიგო ყოვლისა ბირთვული ომის საფრთხე.

ასეთ პირობებში კომუნისტური პარტია ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს ქვეყნის უშიშროების უზრუნველსაყოფად, საბჭოთა ადამიანების სიფხიზლის ასამაღლებლად.

კომუნისტური პარტიის, სამშობლოსა და ხალხის უსაზღვროდ ერთგული არმისა და ფლოტის მეომრები დაუცხრომლად სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას და საბრძოლო მზადყოფნას. ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული მეომრები ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების სადარაჯოზე. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა არმიებთან ერთიან საბრძოლო მზყობრში ღირსეულად ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას.

ამხანაგო არმიისა და ფლოტის მეომრებო!

ამხანაგო შეიარაღებული ძალების ვეტერანებო!

გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს!

ვუსურვებ შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობას ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მინდობილი იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის დაუფლებაში, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებაში, სიფხიზლისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 65 წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

1983 წლის 23 თებერვალს 21 საათზე ადგილობრივი დროით მიცემულ იქნეს სადღესასწაულო ფოიერფერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, ოდესაში, სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, ტულაში, გმირ ციხესიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში კალინინგრადში, ლვოვში, დონის როსტოვში, კუიბიშევში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ჩიტაში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და სევერომორსკში.

გაუმარჯოს საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 65 წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. უსტინოვი

საქართველოს პროფსაბჭოში

განვამტკიცოთ დისციპლინა, შევამციროთ კადრების დენადობა

საქართველოს პროფსაბჭომ განიხილა საკითხი საწარმო-ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირებისათვის რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის საბალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირებისათვის. 1982 წელს 1979 წელთან შედარებით მუშების დენადობა რესპუბლიკის მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე შემცირდა. იგივე შრომის დისციპლინის დარღვევებით გამოწვეულმა სამუშაო დროის დანაკარგებმა.

ამასთანავე იმის გამო, რომ ნაკლოვანებებია წარმოების ორგანიზაციაში, სამეურნეო ხელმძღვანელები, ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელები არღვევენ საშემსრულებლო, საგეგმო, საფინანსო დისციპლინას, ჩავარდნებია მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში — 1982 წელს წინა წელთან შედარებით რესპუბლიკის მრეწველობაში გაიზარდა მთელი დღისა და ცვლისშიდა მოცდენების რაოდენობა.

ამის შედეგად რესპუბლიკის ბევრი საწარმო რიტმულად ვერ მუშაობს. საწარმოო პროგრამის ძირითადი ნაწილი სრულდება თვის უკანასკნელ დეკადაში ზეგანაკვეთური მუშაობის, უქმე და დასვენების დღეებში შრომის ხარჯზე. იერიშობანა, მასალებისა და ნედლეულის, ინსტრუმენტებისა და სამარჯვების ნაკლებობა დაღს ასვამს დისციპლინის მდგომარეობას შრომითს კოლექტივებში.

განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა რესპუბლიკის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, გაიზარდა მუშების დენადობა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, საქმთავარმონტაჟსპეცმშენის, შავი მეტალურგიის სარეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ცეკავშირის, ვაჭრობის სამინისტროს, უსინათლოთა საზოგადოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს, საქსახსოფლტექნიკის, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებში, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზეა განლაგებული, აგრეთვე ხაშურის, კასპის, საგარეჯოს, დუშეთის, მაიაკოვსკის, ცხაკაიას, ქარელის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის რაიონების საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

გაუარესდა შრომის დისციპლინის მდგომარეობა ქვანახშირისა და ხელსაწყ

ᲡᲘᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲐᲮᲜᲐᲒᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვა თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მტკიცე მოთხოვნაა. ამ პრობლემას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე საგანგებო ყურადღება დაეთმო. იმ დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, რომლებიც მეთერთმეტე ხუთწლედშია დასახული საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წინაშე, ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობად მიჩნეულია შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებების დაჩქარებული დანერგვა. ცნობილია, რომ, იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, სადაც მეტი მონდომებით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან მეურნეობათა ხელმძღვანელები და იქ მომუშავე სპეციალისტები მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადების და პრაქტიკაში დანერგვის საქმეს, დროის მცირე მონაკვეთში შედეგებსაც კარგს აღწევენ.

ბოლო ხანებში სულ უფრო ფართოვდება მეცნიერების წარმოებასთან კავშირის განმტკიცების

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ახალი ფორმების და მეთოდების ძიება. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური ცენტრი, რომელიც მოწოდებულია რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში უზრუნველყოს შრომისა და წარმოების მართვის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების გამოყენება, მეცნიერების მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვა-განზოგადება.

ეს ცენტრი სულ რამდენიმე წელია არსებობს, მაგრამ მისმა კოლექტივმა გარკვეული მუშაობა გაწია. კერძოდ, მისი მონაწილეობით რესპუბლიკის 132 სასოფლო-სამეურნეო საწარმოში დაინერგა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად სამარცვლე სმინდღის, ჩაის ფოთლის, ყურძნის, ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის, ვაზის და ხეხილის მავნებლებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრესული ღონისძიებები. ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების რაციონალიზაციისა და მექანიზაციის დონის ამაღლების, მეურნეობათა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მართვის სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, რის შედეგადაც მეურნეობებმა 600 ათასზე მეტი მანეთის ეკონომიკური ეფექტი მიიღეს და ყოველ დახარჯულ მანეთზე უკუგებამ 2,37 მანეთი შეადგინა.

მოუხედავად ამისა, გულახდილად უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობა ძალზე მცირეა და იგი სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. სამინისტროს სისტემაში შემავალი 1400-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოდან მხოლოდ 132-ში დაინერგა სხვადასხვა სიახლე. ეს იმას მოწმობს, რომ ცენტრმა კიდევ უფრო უნდა გააფართოოს მოქმედების სფერო. უწინარესად, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საჭიროა შეიქმნას მისი ფილიალები.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ცენტრს საკმარისად არა ჰყავს კვალიფიციური კადრები, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია სპეციალისტების მომზადება-გადამზადების ორგანიზაცია და, მათი შრომის ინაზღაურების, მატერიალური და მორალური სტიმულირების საქმე.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებების სუსტად დანერგვის მიზეზია ისიც, რომ ამ დარგში დღემდე გაუპიროვნებას და ზოგჯერ უპასუხისმგებლობასაც ეგზებით. დღემდე არ გადაწყდა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების გამოცდილებისამებრ რაიონის სოფლის მეურნეობის აგროსამრეწველო გაერთიანებაში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში გვყავდეს ერთი სპეციალისტი მაინც (მთავარი სპეციალისტის უფლებით), რომელსაც წარმოებაში შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებების დანერგვაზე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა. ჯერ კიდევ უმეტეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმაში არ ითვალისწინებენ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კომპლექსური ღონისძიებების დანერგვას და თუ ითვალისწინებენ, მის შესრულებას არავინ აკონტროლებს. ისეც ხდება, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში „შმ-ს“ ღონისძიებების დანერგვის თაობაზე დაწესებულ ფორმებსაც არავინ ავსებს და არ აგზავნის რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ადგილებზე სიახლე დანერგილია.

დასამალი როდია, რომ წინა წლებში არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, თუ როგორ სრულდებოდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის ღონისძიებანი, მაგრამ „სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება-დამზადების დაგეგმვისა და ეკონომიკური ხემულორების გაუჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ერთ-ერთ საგებმ მაჩვენებლად დაუწესა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ღონისძიებების დანერგვა. ეს გარემოება ბევრს ავალებს არა მარტო სოფლის მეურნეობის საწარმოთა იმ ხელმძღვანელებს, სადაც არ სრულდება დაწესებული გეგმები, არამედ მათ ხელმძღვანელ ზემდგომ ორგანოებსაც, რომლებსაც ეკისრებათ ჯეროვანი კონტროლი დაეწესონ ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლისადმი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებების დანერგვა ერთ პუნქტად აისახოს რაიონის, საწარმოს, თუ მისი ქვედანაყოფებისა და ცალკეული პირების მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებში და მისი შესრულება ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი გახდეს შეჯიბრების გამარჯვებულთა გამოვლენის დროს.

სოფლად შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას ხელს უშლის ისიც, რომ დღემდე სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ინსტიტუტებში შექმნილი არ არის შესაბამისი დანაყოფები (განყოფილება, სექტორი, ლაბორატორია), რომელიც იმუშავებდა შმ-ს და წარმოების მართვის თეორიულ პრობლემებზე. ამ საკითხებს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს შესაბამისი ინსტიტუტების სასწავლო გეგმებში. ხელით შრომის თანდათანობით შემცირებისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის შემდგომი ამაღლების კვალობაზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში და პროფტექნიკურ სასწავლებლებში უფრო გეგმაზომიერად უნდა მომზადდეს: ოპერატორები (მანქანური წველის), ზეინკლები, ელექტრომონტიორები, კონტროლიორები, ინფორმაციისა და აღრიცხვის, კომპლექსური მექანიზაციის, მანქანური დამუშავების და ზოგიერთი სხვა სპეციალობის მუშაკები.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ თანამედროვე სოფლის მეურნეობაში შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის განხორციელებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ რესპუბლიკის უმეტეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში არადამაკმაყოფილებელია დისპეტჩერული მართვის სქემე. ხელისშემშლელია ისიც, რომ დღემდე სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილი არ არის საკავშირო სამინისტროს შესაბამისი სამმართველო, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა მისი სისტემის დარგობრივი სამმართველოების, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო ინსტიტუტების და სხვა სამსახურების მუშაობას შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგში. კოორდინაცია ხელს შეუწყობს სხვადასხვა კოლექტივის მეცადინეობის გაერთიანებას, გამოკვლევის შედეგების, რეკომენდაციების წარმოებაში დანერგვას. უნდა მოწესრიგდეს „დამნერგავის“ შრომის ანაზღაურების და სტიმულირების საკითხი, რადგან ვინც მეცნიერების მიღწევა წარმოებაში უნდა დანერგოს, მას მკვლევარზე ნაკლები ანაზღაურება არ უნდა ჰქონდეს.

დანერგვისადმი ჯერ კიდევ ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ ზოგიერთი რაიონის სოფლის მეურნეობის აგროსამრეწველო გაერთიანებების და თვით ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელები და სპეციალისტები. ეს, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმითაც, რომ სუსტად არის დაყენებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გავრცელების საქმე და ამის გამო ხშირად მეურნეობებისათვის ცნობილი არ არის, თუ რა ეკონომიკურ ეფექტს იძლევა ესა თუ ის პროგრესული ღონისძიება, რომელიც დიდი ხანია მათ მეზობელ საწარმოებში განხორციელდა. ასეთი გამოუყენებელი რეზერვი სოფლად ჯერ კიდევ ბევრია. სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე და აღნიშნა, რომ „ჩვენ დიდი რეზერვები გვაქვს სახალხო მეურნეობაში. მთელი ეს რეზერვები უნდა ვეძიოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართო და სწრაფ საწარმოო დანერგვაში“.

მეთერთმეტე ხუთწლედში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გავლენის გაძლიერების წყალობით გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობაში შრომითი რესურსებიდან გამოთავისუფლდეს 3,9 მილიონი კაცი, ნაცვლად მეათე ხუთწლედში 3 მილიონი კაცისა. ეს იმას მოწმობს, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მეთერთმეტე ხუთწლედის შემდგომ წლებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვის მიზნით ამთავითვე განაზორციელოთ სათანადო ღონისძიებები. ეს ხელს შეუწყობს სასურსათო პროგრამის განხორციელებას და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამას მოითხოვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელიც პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ავალებს დაწესონ კონტროლი საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა დაგეგმვისა და დანერგვისადმი.

Ლ. ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲫᲔ,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური ცენტრის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.



ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ პატონის ხახელობის ელექტროშეხადუღებელი მოწყობილობის ჭარხნის კოლექტივის მიერ დამზადებულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა ქვეყნის ხახალხო მეურნეობაში.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ხაწარმოს კოლექტივმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. შარშანდელი წლის გეგმა ნოემბერში შეახრულა და გეგმის გადამეტებით 600 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. კარგად დაიწყო მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წელიც, იანვრის გეგმა აქ ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით შესრულდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ელექტროშეხადუღებელი ჭარხნის ამწყობი ზეინკალი, თავისი ხაქმის ოსტატი ვ. თალაკვაძე; პროდუქცია მზად არის გასაგზავნად.

Ჯ. ᲚᲝᲛᲯᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲨᲔᲤᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘ

ᲕᲘᲜᲪ ერთხელ მაინც ყოფილა ქალაქ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, მიხვდება, თუ რა რთული და სასპასუხისმგებლო საქმეა გიგანტი დანადგარების — ღუმლების, ბრძმედების, ჩარხების კაპიტალური შეკეთება. ვინ მოთვლის, რამდენი სათადარიგო კვანძი და დეტალი სჭირდება მათ. ზოგ მათგანს ქარხანა ადგილზე ამზადებს, ზოგი შემოაქვს. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც არ ჰყოფნის. ეს იწვევს შეფერხებებს წარმოებაში, მოცდენებს. გულახდილად რომ ვთქვათ, ზოგჯერ მუშახელიც არ ჰყოფნით მარტივი, წვრილმანი დეტალების დასამზადებლად.

საჭირო გახდა ისეთი მოიჯარე „შეფი“, რომელიც დახმარების ხელს გაუწვდიდა ქარხანას. და აი, ასეთი მეგობრობის ხიდი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და სიღნაღის რაიონის ქალაქ წნორის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს შორის 1980 წლის სექტემბრიდან გაიდო.

მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. სულაძე და მთავარი მექანიკოსი გ. ქობალავა დაინტერესდნენ კომბინატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ადგილზე ჩავიდნენ საქმის მოსაგვარებლად. წნორის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექციამ (დირექტორი გ. ჯანაშვილი) საქმით უკასუხა რუსთაველთა წინადადებას, მექანიკური საამქროს შექმნის თაობაზე. ერთობლივი ძალებით აქ ერთ თვეში დაამონტაჟეს 16 ლითონსაჭრელი ჩარხი. საქმე ისე აეწყო, რომ პირველივე წლის სამ თვეში საამქრომ 82 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას.



ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის თერჯოლის რაიკომმა და ქუთაისის ეკონომიკის ინსტიტუტმა მაწყვეს თეორიული კონფერენცია თემაზე — „დისციპლინა ეკონომიკური პოტენციალის გადიდების მძლავრი საშუალებაა“.

თეორიულ კონფერენციაზე მოვიდნენ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული ორგანოებისა და მდივნები და იდეოლოგიის დარგის მუშაკები.

ლექცია „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები და სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მომჭირნეობისა და ეკონომიურობის რეჟიმის დაცვის ამოცანები“ წაიკითხა ქ. ჭუთაისის ეკონომიკის ინსტიტუტის დოცენტმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ურუშაძემ. „სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე“ ისაუბრა ეკონომიკის ინსტიტუტის დოცენტმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ლეკვეიშვილმა. „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციები და ხარისხის მართვა“ — ასეთი იყო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ჯაფარიძის ლექციის თემა; ლექცია „სკკპ საგარეო პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე“ წაიკითხა საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელმა მდივანმა რ. ზარნაძემ. ორატორებმა პასუხი გასცეს მსმენელთა შეკითხვებს.

ნ. ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ,

თერჯოლის რაიონულ გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორის მოადგილე.

ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ-ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

● ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ

ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო იხრდება იდეოლოგიური ბრძოლის მნიშვნელობა. სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ ამ პრობლემებმა წინა პლანზე გადმოინაცვლა. სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას იმპერიალიზმი მიმართავს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებს. ზოგჯერ სამხედრო კონფრონტაციებსაც, მაგრამ ყველაფერ ამას წინ უსწრებს საზოგადოებრივი აზრის დამუშავება, რასაც ბურჟუაზიული პროპაგანდის ფართო ქსელი ემსახურება.

ცვლილებები, რომელთაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაზღვრავენ იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებებს, მის ახალ მიმართულებებსა და ფორმებს.

